საპირისპირო სქესის მშობლის მიმართ მიჯაჭვულობასა და რომანტიკულ პარტნიორთან მიჯაჭვულობას შორის მიმართებების კვლევა

თინათინ გვარამია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ კორინთელი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ გვარამია 30/06/2017

აბსტრაქტი

სიცოცხლის პირველ წლებში ადამიანი ამყარებს განსაკუთრებულ კავშირს მშობელთან/აღმზრდელთან. ეს კავშირი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ემოციური განვითარებისთვის. მშობელთან/აღმზრდელთან დამყარებული ემოციური კავშირი – მიჯაჭვულობა – მეოცე საუკუნის 60–იანი წლებიდან დღემდე მკვლევარების ინტერესს იწვევს.

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს საპირისპირო სქესის მშობლისადმი მიჯაჭვულობასა და რომანტიკულ პარტნიორთან მიჯაჭვულობას შორის მიმართებებს. კვლევის საკითხებს წარმოადგენს ამ ცვლადებს (საპირისპირო სქესის მშობელთნ მიჯაჭვულობა/რომანტიკულ პრატნიორთან მიჯაჭვულობა) შორის კორელაციის დადგენა და სქესთაშორისი განსხვავებების გამოვლენა.

აღნიშნულ საკითხებზე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. კვლევაში გამოყენებულ იქნა მშობლებთან მიჯაჭვულობის საკვლევი კითხვარი (IPPA) და ზრდასრულთა მიჯაჭვულობის კითხვარი. კვლევის შედეგების მიხედვით არსებობს უარყოფითი კორელაცია მამრობითი სქესის წარმომადგენელთათვის დედასთან გაუცხოებასა და რომანტიკული პარტნიორისადმი ნდობას შორის, ხოლო დადებითი კორელაცია დედის მიმართ ნდობასა და პარტნიორისადმი შფოთვას შორის. რაც შეეხება მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს დადებითი კორელაცია დაფიქსირდა მამის მიმართ ნდობასა და პარტნიორთან სიახლოვესა და პარტნიორის მიმართ ნდობას შორის. ასევე დადებითი კორელაცია გამოიკვეთა მამასთან კომუნიკაციასა და პარტნიორისადმი ნდობას შორის.

ქართულ სივრცეში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა. მოცემული ნაშრომი კარგ საფუძველს ქმნის ისეთი კვლევების საწარმოებლად, როგორებიცაა: რომანტიკულ

პარტნიორთან ურთიერთობაში სქესთა შორის განსხვავებების გამომწვევი მიზეზების კვლევა და დედისა და მამის მიმართ მაჯჭვულობებს შორის განსხვავებების კვლევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მიჯაჭვულობა, საპირისპირო სქესის მშობელი, რომანტიკული პარტნიორი.